საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მადლობას უხდის ევროპის საბჭოს პრეზიდენტს - ბატონ შარლ მიშელს, ევროკომისიის პრეზიდენტს – ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს და გაფართოებისა და სამეზობლო საკითხებში ევროკომისარს - ბატონ ოლივერ ვარჰეის.

მადლობას უხდის ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ევროკავშირის ელჩს საქართველოში - ბატონ პაველ ჰერჩინსკის და ევროკავშირის ყველა ქვეყნის ელჩს საქართველოში მხარდაჭერისთვის.

მადლობას უხდის ყველა დაინტერესებულ მხარეს ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის წინ გადადგმაში მონაწილეობისათვის.

ეროვნული პლატფორმა აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა 12 წინაპირობის შესრულების პროცესში. საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით ჩატარდა 3 ერთობლივი კონფერენცია. პლატფორმამ საქართველოს პარლამენტთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც უზუნველყოფს ინსტიტუციურ თანამშრომლობას.

გვახარებს, რომ ეროვნული პლატფორმის მიერ გაწეული სამუშაო ევროკომისიის 12 წინაპირობის შესრულების ანგარიშია ასახული.

საქართველოს ევროვნული პლატფორმა გამოხატავს მზადყოფნას გააგრძელოს აქტიური მუშაობა ყველა აქტორთან 9 პირობის ეფექტიანი აღსრულებისთვის. მიესალმება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაცხადებულ მიზანს 2024 წლის დეკემბერში საქართველოსთვის წევრობის მოლაპარკებების გახსნის შესაძლებლობის მიღწევის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა კიდევ ერთხელ ულოცავს საქართველოს მოსახლეობას ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.